პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 186 (9027)
28 სექტემბერი
შაბათი,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

გუშინ აღინიშნა ტურიზმის მსოფლიო დღე

ყველასთვის ხელმისაწვდომი

დასვენების ინდუსტრია. ეს ტერმინი ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის პირმშოა. იგი გულისხმობს მასობრივი დასვენების საშუალებებს, რომელთა შორის ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

მართლაცდა, განა მოიძებნება ტურიზმზე ეფექტური და ყველასათვის ხელმისაწვდომი აქტიური დასვენების ფორმა? ტურიზმს უამრავი მიმდევარი ჰყავს მთელ მსოფლიოში. დიდია ტურიზმის როლი ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის, მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ამიტომ არის, ტურიზმის მსოფლიო დღე საგანგებოდ რომ აღინიშნება ყველა ქვეყანაში.

საგულისხმო სტატისტიკა: 1950 წელს მსოფლიოში სულ 25 მილიონმა ადამიანმა იმოგზაურა, 1966 წელს — 141, 1970 წელს — 168, 1972 წელს კი 200 მილიონმა. 80-იანი წლების დასაწყისში მარტო საბჭოთა კავშირში 100 მილიონზე მეტმა ადამიანმა იმოგზაურა. საგანგებო გამოკვლევების საფუძველზე წინასწარაა გამოანგარიშებული, რომ 80-იანი წლების მიწურულს მოსალოდნელია ნამდვილი ტურისტული „ბუმი“.

ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა დასვენების უფლება კონსტიტუციითაა განმტკიცებული. ამიტომ განუხრელად მტკიცდება ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და საკურორტო ცენტრებში შენდება ახალი ტურისტული სასტუმროები, ტურისტული ბაზები და კემპინგები, საბაგირო გზები, რესტორნები, კაფეები... ერთი სიტყვით, ტურიზმის მომსახურების ქსელი თანდათან ფართოვდება. რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების მდგომარეობის შესახებ შარშან საგანგებოდ იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ახლა, როცა დღის წესრიგში დადგა მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსახლეობის სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტურიზმს, მით უფრო, „ქვეით ტურიზმს“, რომელიც ბუნების წიაღში დასვენების სულ უფრო მეტ მსურველს იკრებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ტურისტული ბილეთები წლის არც ერთ დროს არ უნდა ცარიელდებოდეს. დიახ, როგორც მოსახლეობისადმი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვაშია ნათქვამი, რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის გაფართოებისთვის უკეთ უნდა გამოვიყენოთ, როგორც სპორტული ბაზები და კომპლექსები, ისე გეოგრაფიულ-კლიმატური გარემო.

„დაისვენე და შეიცანი“, „ტურიზმი სამყაროს შეცნობის გზაა“, „ტურიზმი ჯანმრთელობაა“—ეს ფრაზები ლაკონიურად გამოხატავენ ტურიზმის როლსა და დანიშნულებას ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომ, როგორც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე (1984 წლის 21 იანვარი) აღინიშნა, „საჭიროა ვავითარებდეთ ადგილობრივ ტურიზმს, საოჯახო ტურიზმს, დასვენების დღის ტურიზმს და ა. შ.“.

ამ მითითებით ყველამ უნდა ვიხელმძღვანელოთ.

მსოფლიო პირველობის მატჩი

კარპოვი — კასპაროვი

მატჩის მერვე პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში: თეთრები (კარპოვი) — მფh2, ეb4, პპ. a4, g4; შავები (კასპაროვი) — მფe6, ეa3, პ. g5.

განახლების შემდეგ პარტია დიდხანს არ გაგრძელებულა: 41. ...მფe5 42. მფg2 ეa2+ 43. მფf3 ეa3+ 44. მფe2 ეg3 45. მფd2 ეg2+ 46. მფe3 ეg3+ 47. მფe2 ეa3 48. მფd2 ეg3 49. ეc4 მფd5. ყაიმი.

მეცხრე პარტია

მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეცხრე პარტიაში მოწინააღმდეგეებმა დავის გასაგრძელებლად ესპანური პარტია ირჩიეს. თავდაპირველად ორივე მხარემ მეხუთე პარტიაში გაკეთებული სვლები გაიმეორა, მაგრამ შავებით მოთამაშე მსოფლიო ჩემპიონმა მე-12 სვლაზე პირველმა გადაუხვია გაკვალულ გზას.

მანევრული ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და მხოლოდ 27-ე სვლაზე გაიცვალა პირველი პაიკი. ამას მოჰყვა ეტლებისა და თითო-თითო მსუბუქი ფიგურის გაცვლაც, თუმცა პოზიციის სიმწვავე არ მოკლებია.

ისარგებლა რა შავი ფიგურების ურთიერთკავშირის დროებითი დარღვევით, პარტიის გადადების წინ კასპაროვი შეეცადა აქტიური ოპერაციები წამოეწყო მეფის ფრთაზე. ამის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. გადადებულ პოზიციაში პრეტენდენტის გეგმა ნათელია — უშუალო მუქარები შექმნას a2-g8 დიაგონალზე, თუმცა წინასწარი შეფასებით, ალბათ, შავებს საკმარისი რესურსები გააჩნიათ ამ მუქარათა უვნებელსაყოფად.

მეცხრე პარტია

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 კb7 10. d4 ეe8 11. მbd2 კf8 12. a4 h6 13. კc2 მb8 14. კd3 c6 15. მf1 მbd7 16. მg3 ლc7 17. კd2 g6 18. ლc1 მფh7 19. b3 კg7 20. ლc2 მf8 21. კe3 მe6 22. ეad1 ეac8 23. კf1 კf8 24. ეd2 ლb8 25. ლb1 კa8 26. b4 კb7 27. ab ab 28. ეed1 ლc7 29. ეc1 კg7 30. ეcd1 ეcd8 31. de de 32. ე:d8 ე:d8 33. ე:d8 მ:d8 34. c4 bc 35. კ:c4 მe8 36. ლa2 მd6 37. კb3 მb5 38. h4 მd4 39. კ:d4 ed 40. h5 ლe7 41. ლd2 c5 42. ლc2. პარტია გადაიდო.

გუშინ, 53-ე სვლაზე, მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მეცხრე პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 5:4 ა. კარპოვის სასარგებლოდ.

ელვა-ინფორმაცია

პრის ოქროს მედალი

ალბერტ კაზანჯიანი სსრ კავშირის ჩემპიონია

გუშინ გვიან საღამოს ერევნის კულტურულ-სპორტული კომპლექსის რინგზე დასრულდა სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი კრივში. 54 კგ წონით კატეგორიაში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია თბილისელმა სპორტის ოსტატმა ალბერტ კაზანჯიანმა (ასკ, მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი — გარი ხაჩატუროვი). ჩვენმა მოკრივემ ფინალში ნოკაუტით დაამარცხა (ბრძოლა შეწყდა მეორე რაუნდში) რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვიაჩესლავ შულეპკო და ოქროს მედალი მოიპოვა.

ვულოცავთ შესანიშნავ სპორტსმენს ამ დიდ წარმატებას.

სპარტაკიადა დამთავრდა, სპარტაკიადა გრძელდება

მოსწავლეთა ბოლო, მეჩვიდმეტე საკავშირო სპარტაკიადაზე როგორც გახსოვთ, ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციამ ძირითადად წარმატებით იასპარეზა და სპორტის ბევრ სახეობაში თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვა. ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის წამოწყებულმა ერთობლივმა მუშაობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ, ცხადია, ჩვენი სპორტის ღირსეული რეზერვის აღზრდაზე ზრუნვა ერთი რომელიმე კომპლექსური შეჯიბრებისთვის მზადებით არ შემოიფარგლება. იმისათვის, რომ დიდ სპორტს საიმედო ცვლა არ მოაკლდეს, აუცილებელია მიზანმიმართული, სისტემატური მეცადინეობა, ახალ-ახალი ტალანტების წარმოჩენა-დაწინაურება, გამუდმებული ყურადღება მოზარდთა სპორტისადმი. ამიტომაც არასოდეს კარგავს მნიშვნელობას ცნობილი გამოთქმა: სპარტაკიადა დამთავრდა, სპარტაკიადა გრძელდება. ნიშანდობლივია, რომ როცა მოსწავლეთა შარშანდელი სპარტაკიადის შედეგები გაანალიზდა, იქვე გაიმართა საუბარი სამომავლო გეგმებზე, იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს პოზიციების გასამტკიცებლად.

განათლების სისტემის სპორტული ორგანიზაციები კარგა ხანია შეუდგნენ მზადებას მომავალი, მეთვრამეტე საკავშირო სპარტაკიადისთვის, რომელიც 1987 წელს უნდა გაიმართოს. თითქმის ყველა სასპარტაკიადო სახეობაში შერჩეულია ნაკრები გუნდების კანდიდატები, ჩატარებულია პირველი საწვრთნელი მეცადინეობები. საქართველოს განათლების სამინისტროსთან შექმნილი სპარტაკიადისთვის მზადების ოპერატიული შტაბი თავის სხდომებზე რეგულარულად განიხილავს საკითხს მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. ოპერატიული შტაბის ბოლო სხდომაზე, მაგალითად, იმსჯელეს მოცურავეთა, წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა მზადების შესახებ. საქმიანი საუბარი გაიმართა ნაკრებ გუნდებში შექმნილ მდგომარეობაზე, ხელისშემშლელ მიზეზებზე, დაზუსტდა სპარტაკიადისათვის მზადების გეგმები.

ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე

ძიუდოისტთა მეთოთხმეტე მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გუშინწინ სეულში დაიწყო, წინ უსწრებდა სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. საბჭოთა კავშირიდან ამ თავყრილობაში მონაწილეობდნენ ძიუდოს ფედერაციის თავმჯდომარე პ. ბოგდანოვი, სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გ. კალეტკინი და საკავშირო სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი ვ. ხოხლოვი. კონგრესმა იმსჯელა მნიშვნელოვან საკითხებზე, მიიღო ფედერაციის ახალი წევრები (ამჟამად მის შემადგენლობაში 119 ეროვნული ფედერაციაა) და მომავალი წლის უმთავრეს შეჯიბრებათა კალენდარი დაამტკიცა.

მსოფლიოს ბოლო, მე-13 ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, მოსკოვში ჩატარდა. გუნდური გამარჯვება ძიუდოს ფუძემდებლებმა — იაპონელებმა მოიპოვეს (4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი). მაშინ მეორე ადგილი წილად ხვდა საბჭოთა ნაკრებს (2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს ჯილდო).

წლევანდელი ნაკრების ლიდერია ევროპისა და საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი ხაზრეთ ტლეცერი. მასთან ერთად გუნდში გამოდიან კონტინენტის ორგზის ჩემპიონები, ჩელიაბინსკელი გრიგორი ვერიჩევი და თბილისელი თამაზ ნამგალაური. ევროპის სამგზის ჩემპიონი მინსკელი ვიტალი პესნიაკი, ევროპის ექსჩემპიონი ჰაბილ ბიკტაშევი, აგრეთვე ახალგაზრდა ოსტატები, ლენინგრადელი იური სოკოლოვი, პერმელი ვლადიმერ შესტაკოვი და კურსკელი ალექსანდრე სივცოვი.

ელვა-ინფორმაცია

სეულში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატში გამოვლინდნენ პირველი პრიზიორები. საბჭოთა სპორტსმენებიდან ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ვლადიმერ შესტაკოვმა (78 კგ), ვიტალი პესნიაკმა (86 კგ) და გრიგორი ვერიჩევმა (95 კგ ზევით).

ჩემპიონები გახდნენ იაპონელი ძიუდოისტები — ნობოტარო მიკაგე (78 კგ) და ჰიტოსი სუგაი (95 კგ), ავსტრიელი პეტერ ზაიზენბახერი (86 კგ) და სამხრეთკორეელი იონ ჩულ ჩო (95 კგ ზევით).

წინასწარი მონაცემებით ჩემპიონატში მონაწილეობს 230 სპორტსმენი 39 ქვეყნიდან. შეჯიბრება ხვალ დამთავრდება.

ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა

როგორც ლოზანაში გამოქვეყნებულ კომუნიკეშია ნათქვამი, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მეხიკოში გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე შეისწავლიან იმ ძლიერი მიწისძვრის შედეგებს, რაც ორჯერ დაატყდა მექსიკის დედაქალაქს. სოკ-ი აპირებს დახმარება გაუწიოს მექსიკელ ხალხსა და სპორტსმენებს.

ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული!

გამოშვება № 4

ვიაროთ და ვირბინოთ, ოღონდ ზომიერად

რბენა გაცილებით უფრო რთულ მოძრაობებს მოიცავს, ვიდრე სიარული, თუმცა სწორი და ლამაზი რბენის შესწავლა არც ისე ძნელი საქმეა. მით უფრო, რომ ბავშვობაში ყველა ერთნაირად არის გატაცებული მოძრავი თამაშებით, სკოლაში კი მოზარდები მშდ კომპლექსის ნორმატივებს აბარებენ და სისტემატურად მონაწილეობენ მასობრივ კროსებში.

რბენა ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას და შრომისნაყოფიერების ამაღლებისთვის გარკვეულ სტიმულსაც ქმნის. რბენის დროს ორგანიზმი ენერგიას მოჭარბებულად ხარჯავს: 800 მეტრზე — 150 კილოგრამკალორიას, 1500 მეტრზე — 250, 5000 მეტრზე — 450, 10000 მეტრზე — 750 კილოკალორიას და ა. შ. მარათონელისთვის ენერგიის ხარჯვა დაახლოებით 2500 კილოკალორიას აღწევს. როგორც ხედავთ, რბენაში სისტემატური ვარჯიში ზომიერი კვების პირობებში ზედმეტ კილოგრამებს ადვილად სპობს.



ახლა რამდენიმე სიტყვა სიარულზეც, რომელიც რბენასთან შედარებით უფრო ადვილიცაა და უფრო მოსახერხებელიც. 5-6 კილომეტრზე სიარული ხანში შესულთათვის მინიმალური ნორმაა. ახალგაზრდებს, ცხადია, მეტი შეუძლიათ და ამის გამო დოზებიც გაზრდილია. ვარჯიშის დასაწყისში ეფექტურია ფეხით სიარული სახლიდან სამსახურამდე და უკან. დიდი სარგებლობა მოაქვს ძილის წინ სეირნობასაც. კვირაში ერთხელ რეკომენდებულია 10-15-კილომეტრიანი ლაშქრობა რამდენიმე შესვენებით.

გამაჯანსაღებელი სეირნობის ხანგრძლივობა, როგორც წესი, დამოკიდებულია ადამიანის საერთო მდგომარეობაზე, მის ასაკსა და ამინდზე. მარშრუტისა და ტემპის ზრდა მხოლოდ თანდათანობით უნდა მოხდეს. სიარულის სისწრაფის განსაზღვრისას შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილი, რომელსაც ქვევით გთავაზობთ. იგი გათვალისწინებულია მომეცადინეთათვის, რომელთა წონა 70 კილოგრამს არ აღემატება. ტემპის განსაზღვრა ხდება ნაბიჯების სიხშირით. 100 ნაბიჯი წუთში ნელ ტემპად ითვლება, 100-დან — 120 ნაბიჯამდე — საშუალო, 130 ნაბიჯზე მეტი კი — სწრაფ ტემპად.

სიჩქარე კმ. სთ.	ტემპი ნაბიჯებში	ენერგიის ხარჯვა, კ/კალორიებში
3,0	70	195
4,0	90	230
5,0	110	290
6,0	130	320

მეცადინეობის მომდევნო ეტაპია სიარულისა და ნელი რბენის მონაცვლეობა. სამაგალითო სქემად ასეთი მონაცემები შეიძლება მივიჩნიოთ: 200-300 მეტრი — სიარული, 100-150 მეტრი — ნელი რბენა. კომბინაცია მომეცადინის საერთო მდგომარეობის შესაბამისად შეიძლება 4-5-ჯერ განმეორდეს. 2-3 კვირის შემდეგ რბენის დისტანციის ზრდაზეც შეიძლება ვიფიქროთ (200-250 მეტრამდე).

რბენის დოზირება თავისთავად რთული არ არის, ოღონდ არ უნდა ავყვეთ იმათ, ვინც უკვე დიდი ხანია ვარჯიშობს. ახალბედებს ვურჩევთ თავდაპირველად ყოველ მესამე დღეს ირბინონ და მხოლოდ 5-6 თვის შემდეგ — დღეგამოშვებით, რბენის ხანგრძლივობა 2-3 წუთს არ უნდა აღემატებოდეს, ტემპი უსათუოდ დაბალი უნდა იყოს — 120 ნაბიჯი წუთში. ორკვირიანი ვარჯიშის შემდეგ რბენის ხანგრძლივობის გაზრდა 8-10 წუთამდეც შეიძლება.

ვინაიდან პულსის სიხშირე ადამიანის საერთო მდგომარეობის ერთ-ერთი ობიექტური მაჩვენებელია, დატვირთვის დოზირება მისი მონაცემების საფუძველზეც შეიძლება. ასაკის ზრდასთან ერთად გულის შეკუმშვათა სიხშირე მაქსიმალური დატვირთვის დროს უსათუოდ უნდა კლებულობდეს.

ასაკი	სიხშირე დარტყმა — წუთში
25	200
30	194
35	188
40	182
45	176
50	171
55	165
60	159
65	153

გამაჯანსაღებელ რბენაში მომეცადინეთათვის სპეციალისტები მაჯისცემის სიხშირის ასეთ მაჩვენებლებს გვთავაზობენ:

ასაკი	სიხშირე დარტყმა — წუთში
30 წლამდე	130-160
31-40	120-150
41-50	120-140
51-60	120-130

აღნიშნულ რეკომენდაციებს რბენისა და სიარულის მოყვარულთათვის მხოლოდ ზოგადი, შემეცნებითი ღირებულება აქვს. არ დაგავიწყდეთ, რომ ყოველ ცოცხალ ორგანიზმს უაღრესად სუბიექტური მიდგომა სჭირდება, რათა მხედველობიდან არ გამოგვრჩეს მისი არც ერთი თავისებურება. ამიტომ მეცადინეობის დაწყება და მისი შემდგომი წარმართვა მკაცრი საექიმო კონტროლის გარეშე შეიძლება საზიანოც გამოდგეს. გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის მსურველთა პირველ ნაბიჯებს უნდა ახლდეს ექიმ-სპეციალისტის რჩევა-დარიგებანი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ავიცილოთ თავიდან ყოველგვარი გადახრები, შეცდომები და ანომალიური მოვლენები. საჭირო კონსულტაციების მიღება შეიძლება ყველგან სავარჯიშო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ვარჯიშთან ერთად...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 12 ივნისის დადგენილების — „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — განხორციელების მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის კოლექტივი (დირექტორი ო. ცხადაძე). აქ დიდი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის, მუშა-მოსამსახურეთა და განსაკუთრებით საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობის ფართო ფენების ფიზკულტურულ-სპორტულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჩაბმას.

კომპლექსთან შექმნილია რბენის მოყვარულთა, ფრენბურთელთა, ჩოგბურთელთა, ფეხბურთელთა და რიტმულ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფები. თვით მომეცადინეთა მოთხოვნით გაიხსნა ჭადრაკის, შაშის სასწავლო-საწვრთნელი წრეები. ახლო მომავალში მუშაობას შეუდგება ჯანმრთელობის ჯგუფები მაგიდის ჩოგბურთსა და ველოსპორტში. ამ დღეებში კი აქ გაიხსნა სპორტის სპეციალიზებული ბიბლიოთეკა.

დღეს ფიზკულტურასა და სპორტში რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, თუ არ იცნობ მეცნიერების უახლეს მიღწევებს, მოწინავე სპეციალისტთა თეორიულ და მეთოდურ გამოცდილებას, აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე გამოქვეყნებულ შრომებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სპორტული ბიბლიოთეკაც. კომპლექსში მოსული ახალგაზრდობა სპორტული მიღწევების ზრდასთან და ჯანმრთელობის განმტკიცებასთან ერთად აქ თეორიულ ცოდნასაც შეიძენს.

ამჟამად ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 3.000 ეგზემპლარს შეადგენს, მკითხველთა განკარგულებაშია 50-მდე დასახელების ჟურნალ-გაზეთები.

ამის გარდა, მსურველებს აქვე შეუძლიათ გაეცნონ უახლეს მიღწევებს მედიცინის, ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროში, აგრეთვე საკანდიდატო დისერტაციების ავტორეფერატებს.

სხვა ბიბლიოთეკებისაგან განსხვავებით, მწვრთნელ-მასწავლებლებს, სპორტსმენებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს მოთხოვნის მიხედვით აქ უმოკლეს დროში მიაწვდიან მათთვის საინტერესო მასალებს როგორც მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა, ასევე უცხოურ ენებზე.

ეს სპორტული ბიბლიოთეკა ალბათ ერთადერთია საბჭოთა კავშირში, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს. მისი წიგნადი ფონდით დაკომპლექტებასა და შევსებაში დირექციას დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის, ქუთაისის, წულუკიძის საჯარო, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებმა და „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს ხელმძღვანელობამ.

თამაზ ხარაბაძე,
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

სიახლეთა ესტაფეტა

განახლებულ სტადიონზე..

ბათუმის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. აქ ბევრი რამ კეთდება ფიზკულტურულ-სპორტულ მეცადინეობაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმისთვის. ტრიბუნების ქვეშ მოეწყობა ტირი, ძალოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის დარბაზები, გასახდელები, საშხაპეები. სტადიონზე, გარდა ამისა, კეთდება განათება. აქ ყოველდღიურად ორი ათასამდე კაცი გაიკაჟებს ჯანმრთელობას, აიმაღლებს სპორტულ ოსტატობას.

უშუალოდ შრომით კოლექტივებში

ბელორუსიაში შეიქმნა ახალი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება, რომელმაც რესპუბლიკის ექვსი პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება გააერთიანა. სიახლემ ხელი შეუწყო ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას. მუშაობა ძირითადად უშუალოდ შრომით კოლექტივებში გაიშალა, სადაც წინა პლანზეა წამოწეული მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

ამ სიახლის გასაცნობად ახლო მომავალში ბელორუსიაში გაემგზავრება ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტთა დელეგაცია.

სპორტისა და დასვენების ცენტრი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინის მკვიდრთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტისა და დასვენების ცენტრი, რომელიც ლენინის პროსპექტისა და დიმიტროვის ქუჩის გადაკვეთის ადგილზე, 3-ჰექტარიან ტერიტორიაზეა გადაჭიმული. ცენტრი მუშაობას შეუდგა 1981 წლის 20 მარტს. მას აქეთ იგი სპორტისა და დასვენების 12 მილიონ მოყვარულს მოემსახურა.

ახლახან ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ ამ ტყე-პარკს კიდევ ხუთი ჰექტარი მიემატა. ცენტრი ამიერიდან 10 ათასამდე დამსვენებელს მოემსახურება. სპორტისა და დასვენების მოყვარულთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, ხელოვნური ტბა, კემპინგები და დასასვენებელი სახლები.

ქუჩა — ჰოკეის მოედანი

ინგლისში სულ უფრო პოპულარული ხდება „სტრიტ-ჰოკეი“—ქუჩის ჰოკეი. ყინულის მაგიერ—ასფალტი, ციგურების მაგიერ—გორგოლაჭები. შაიბა შეცვალა ნარინჯისფერმა ბურთმა. ბურთს ფოსფორით ფარავენ, რათა თამაში საღამოობითაც შეძლონ. „სტრიტ-ჰოკეის“ წესები თითქმის არ განსხვავდება შაიბიანი ჰოკეის წესებისგან. გუნდი 6 მოთამაშისგან შედგება. ლონდონის ჩემპიონატში 1[illegible] გუნდი გამოდის. თამაშები კვირაობით იმართება.

მათთვის, ვინც კაბინეტში მუშაობს

თანამედროვე ადამიანს, მოგეხსენებათ, საქმე არ გამოელევა არც შინ, არც სამსახურში. ზოგი პროფესია ისეთია, რომ კაცი უბრალო ფიზიკური დატვირთვისთვისაც ვერ იცლის, დროს ვერ პოულობს. არადა, ნორმალური ადამიანის ორგანიზმისათვის კუნთური აქტივობა ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი საქმიანობა ფიზიკურ შრომასთან არ არის დაკავშირებული.

მათ, ვინც მთელი დღის განმავლობაში საქმით არის დატვირთული, ვთავაზობთ უმარტივესი ტიპის ვარჯიშებს, რომელთა შესრულება სამუშაო ოთახშიც შეიძლება:

1. წამოდექით ფეხზე და შეძლებისდაგვარად სხეულის ყველა კუნთი დაჭიმეთ, ამოძრავეთ ტანი ისე, რომ სიმძიმე ხან ერთ ფეხზე გადავიდეს, ხან მეორეზე.
2. მოხარეთ ფეხები მუხლებში და ოთახში რამდენიმე ნაბიჯი გადადგით.
3. სკამზე მჯდარმა შეძლებისდაგვარად დაჭიმეთ სხეულის ყველა კუნთი. ფეხები წინ გადგით და მორიგეობით ამოძრავეთ ზემოთ და ქვემოთ, თითქოს კროლის სტილით ცურავდეთ.
4. წამოდექით, ყველა კუნთი დაჭიმეთ. წამოიწიეთ ფეხის წვერებზე და შეაბრუნეთ ტანი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ.
5. ხელებით დაეყრდენით სკამს, რამდენიმეჯერ ასწიეთ და დაუშვით ტანი.
6. მიეყრდენით კედელს კეფით, ზურგითა და ქუსლებით. შეძლებისდაგვარად დაჭიმეთ ყველა კუნთი.
7. დღის განმავლობაში ლიფტით ნუ ისარგებლებთ. მეხუთე სართულამდე კიბეზე ფეხით ასვლა და ჩამოსვლა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.
8. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას რამდენიმეჯერ დაჭიმეთ სხეულის ყველა კუნთი.
9. ქუჩაში სიარულის დროს გარკვეული მონაკვეთი (200-300 მ) აჩქარებული ნაბიჯით გაიარეთ (წუთში 120-140 ნაბიჯი). კარგი იქნება, თუ აჩქარებული ნაბიჯით სასიარულოდ პატარა აღმართს შეარჩევთ.
10. დილით და განსაკუთრებით საღამოს წყლის პროცედურები რაც შეიძლება ენერგიულად ჩაატარეთ, სხეული ოდნავ დასველებული უხეში პირსახოცით შეიმშრალეთ.

რამდენიმე მარტივი ვარჯიშის შესრულება შეიძლება გამოღვიძებისთანავე, ლოგინში:

ა. ენერგიულად დაიზილეთ ტანი ხელებით;

ბ. ამოძრავეთ ფეხები, თითქოს ველოსიპედს მართავდეთ;

გ. მუხლებში მოხრილი ფეხები ხელების დახმარებით რამდენჯერმე მიაბჯინეთ მუცელს;

დ. ზედა ტანი ნელ-ნელა წამოსწიეთ. მერე წელში გაილუნეთ და შეეცადეთ ხელები ფეხის წვერებს შეახოთ.

დილის ამ ვარჯიშებს სულ რამდენიმე წუთი სჭირდება, სამაგიეროდ სიმხნევე და კარგი განწყობილება მთელი დღის მანძილზე გაგყვებათ.

როცა დამარცხებული ქებას იმსახურებს

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 სექტემბერი.

„დინამო" (თბილისი) — ცსკა 82:84 (35:43)

„დინამო": დერიუგინი (32), ტიუბინი (18), ბოროდაჩოვი (11), ხანაძე (10), დარსაძე (9), გრძელიძე (1), გიორგობიანი (1).

ცსკა: ტკაჩენკო (21), ენდენი (16), მელეშკინი (13), ტიხონენკო (12), ტარაკანოვი (10), პოპოვი (5), ლოპატოვი (3), მიშკინი (2), პანკრაშკინი (2).

მსაჯები: იუოზას სტორპირშტისი (იონავა), ტოფიკ ჰასანოვი (ბაქო).

დუბლიორები — 64:63 (33:33).

ცსკა-ს და თბილისის „დინამოს" შეხვედრის მომენტი. გარღვევაზეა ნიკოლოზ დერიუგინი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გულახდილად უნდა ითქვას: თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს შეხვედრის დაწყებამდე ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი მოსკოველთა დამაჯერებელ გამარჯვებაში. არმიელთა გუნდის დამარცხება დღესდღეობით მხოლოდ კაუნასის „ჟალგირისს" ძალუძს, ყველა დანარჩენ მეტოქესთან ცსკა-ს წაგება კი მოულოდნელობად, ხშირად სენსაციადაც აღიქმება.

თბილისის „დინამოსაგან", რომელმაც 53-ე საკავშირო ჩემპიონატის ორივე სასტარტო მატჩი წააგო, ამ სენსაციას არავინ ელოდა და ალბათ სწორედ ამით აიხსნებოდა სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ცარიელი ადგილების სიჭარბე. მაგრამ ის, ვინც მაინც გადაწყვიტა მხარი დაეჭირა თავისი გუნდისთვის, კინაღამ სენსაციის მოწმე შეიქნა.

არადა, მატჩის 35 წუთი ისე მიილია, სტუმართა გამარჯვებას ერთხელაც არ დამუქრებია სერიოზული საფრთხე. მათ სასარგებლოდ ქულათა სხვაობა ხან იზრდებოდა, ხან მცირდებოდა, მაგრამ გარდატეხას არაფერი მოასწავებდა. პირველი ტაიმი მოსკოველებმა რვაქულიანი უპირატესობით მოიგეს და, ლოგიკის ყველა კანონის თანახმად, შესვენების შემდეგ კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინათ ეს უპირატესობა. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ პირველი ტაიმის მიწურულს მეოთხე პერსონალური შენიშვნა მიიღო დერიუგინმა, რომელიც დინამოელთა მთავარი ძალაა. გარდა ამისა, თამაშის მთელი სიმძიმე მასპინძელთა გუნდის ექვს წევრს დააწვა, მაშინ, როცა ცსკა-ს უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე გომელსკი ხშირად ცვლიდა მოთამაშეებს და ამით დასვენების საშუალებას აძლევდა მათ. ცხადია, ლევან მოსეშვილიც სიამოვნებით მოიქცეოდა ასე, მაგრამ, თუ გომელსკისთვის თითქმის სულ ერთია, რომელ ხუთეულს გაიყვანს მოედანზე (ამით მისი გუნდის თამაში არ იცვლება), თბილისელთა მწვრთნელი იძულებულია მხოლოდ ლიდერებს დაეყრდნოს.

...თამაში განახლდა და სტუმრები თანდათან დაწინაურდნენ. მეორე ტაიმის მე-11 წუთისთვის სხვაობამ 13 ქულას მიაღწია (69:56). თბილისელები, თითქოს ამ მომენტს ელოდნენო, უცებ გამოცოცხლდნენ, დაცვაშიც საგრძნობლად გააქტიურდნენ და ორ წუთნახევრის შემდეგ ტაბლოზე ენთო ციფრები — 72:75! არ შეიძლება არ აღინიშნოს მატჩის ამ მონაკვეთში ბოროდაჩოვის ბრწყინვალე თამაში. საერთოდ, მან მთელი მატჩი კარგად ჩაატარა (განსაკუთრებით დაცვაში) და საგრძნობლად შებოჭა ცსკა-ს თავდამსხმელთა მოქმედება.

შეხვედრის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე დერიუგინმა ერთ ქულამდე დაიყვანა ანგარიშში სხვაობა — 76:77. მატჩმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ტკაჩენკომ მორიგი 2 ქულა შესძინა თავის გუნდს, რასაც კვლავ დერიუგინის შედეგიანი შეტევა მოჰყვა. თანაც, ამ დროს ტკაჩენკომ მეხუთე პერსონალური შენიშვნა მიიღო და დერიუგინმა საჯარიმოც ზუსტად ტყორცნა — 79:79. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა სპორტის სასახლეში, როცა თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა რამდენიმე წამის შემდეგ დააწინაურა თავისი გუნდი — 81:79! დარჩენილ დროში (1 წუთი და 49 წამი) ვითარება კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა. ტარაკანოვმა და მიშკინმა წინ გაიყვანეს ცსკა (82:81). გიორგობიანმა აღადგინა წონასწორობა და მელეშკინმა საბოლოო წერტილი დაუსვა ანგარიშს — 84:82. მასპინძელთა ბოლო შეტევა წარუმატებელი გამოდგა.

ვფიქრობთ, გუშინწინდელი მატჩი იმ შეხვედრათა რიცხვს მიეკუთვნება, როცა დამარცხებულიც ქებას იმსახურებს.

დავით კაკაბაძე.

თბილისი. სპორტის სასახლე. 25 სექტემბერი.

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — რტი (მინსკი) 86:71 (45:33).

„სპარტაკი": გრიშაევი (32), ჟარკოვი (18), კუზნეცოვი (12), პავლოვი (10), ავერიანოვი (8), გორინი (4), ხარჩენკოვი (2).

რტი: იაკუბენკო (19), პუსტოგვარი (13), ჟელუდოკი (13), სატიროვი (8), ოსტრონოსოვი (6), კნატკო (6), პარფიანოვიჩი (4), სლანევსკი (2).

მსაჯები: მ. ბერნატსი (ლიეპაია) და ტ. ჰასანოვი (ბაქო).

დუბლიორები — 71:66 (34:35).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 25 სექტემბერი.

ცსკა — „უნივერსიტეტი" (ტაშკენტი) 107:80 (61:37).

ცსკა: პოპოვი (15), ლოპატოვი (14), ტიხონენკო (14), გუსევი (13), ენდენი (12), ტარაკანოვი (12), მიშკინი (8), პანკრაშკინი (8), ტრუშინი (5), ტკაჩენკო (4), მელეშკინი (2).

„უნივერსიტეტი": ივანოვი (18), გრებენიკოვი (16), ფილიუშკინი (12), ხოიფერი (7), ბელკინი (7), ჩერნოხიტოვი (7), სმოლიევსკი (5), ლევინი (5), ფრენკელი (3).

მსაჯები: ბ. სოსნოვსკი (კიევი) და რ. ბრაზაუსკასი (ვილნიუსი).

დუბლიორები — 99:69 (51:30).

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 სექტემბერი.

რტი (მინსკი) — „უნივერსიტეტი" (ტაშკენტი) 88:69 (38:34).

რტი: პუსტოგვარი (19), კნატკო (14), სლანევსკი (18), სატიროვი (11), ჟელუდოკი (9), იაკუბენკო (9), ოსტრონოსოვი (4), პარფიანოვიჩი (2), კრავჩენკო (2).

„უნივერსიტეტი": ფილიუშკინი (18), ივანოვი (16), გრებენიკოვი (14), ვილჰელმი (9), ფრენკელი (6), ბელკინი (4), ხოიფერი (2).

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი) და ბ. სოსნოვსკი (კიევი).

დუბლიორები — 81:77 (49:30).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 სექტემბერი.

„დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 96:78 (50:37).

„დინამო": ლინდინი (24), ფესენკო (16), ვიგილიი (16), სოკი (12), ოხოტნიკოვი (12), კორჩაგინი (8), შიშკოვი (8), სიზოვი, კოლიჩევი.

„სპარტაკი": გრიშაევი (34), ჟარკოვი (10), გორინი (8), კუზნეცოვი (7), პავლოვი (7), კოროლიოვი (4), კაპრილენკო (4), ხარჩენკოვი (2), ავერიანოვი (2).

მსაჯები: უ. ოზოლსი (რიგა) და რ. ბრაზაუსკასი (ვილნიუსი).

დუბლიორები — 88:72 (35:42).

დუბლიორებთან...

კალათბურთელთა ჩემპიონატში ძირითადი შემადგენლობის პარალელურად დუბლიორთა გუნდებიც ასპარეზობენ. თბილისის ტურში ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვის ადგილობრივი „დინამო", რომელმაც სამიდან სამი ქულა დააგროვა. გათამაშების ცხრილში დღევანდლისათვის ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბილისი)	3	3	0	220-209	3
ცსკა	3	2	1	250-197	2
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	3	2	1	241-212	2
რტი (მინსკი)	3	1	2	281-229	1
„დინამო" (მოსკოვი)	3	1	2	219-236	1
„უნივერსიტეტი" (ტაშკენტი)	3	0	3	209-277	0

დებიუტანტი

გია სანაძე

კალათბურთი

დაიბადა 1965 წლის 8 იანვარს წყალტუბოში.
სიმაღლე — 196 სმ, წონა — 88 კგ.
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.
კალათბურთის თამაში დაიწყო 1978 წელს.
სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრი.
მწვრთნელები — ლევან მოსეშვილი, ვაჟა მჭედლიძე.
საქართველოს ჩემპიონი, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის.
თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა 1985 წლის 25 სექტემბერს მოსკოვის „დინამოსთან".

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ზღვარი ნელ-ნელა იშლება

თბილისის ტურის გუნდებიდან ამ ჩემპიონატში განსაკუთრებულ ყურადღებას მოსკოვის „დინამო" იმსახურებს, რომელმაც შარშან კინაღამ დატოვა უმაღლესი ლიგა. მაგრამ აი, კოლექტივში ახალი მწვრთნელი, არმანდ კრაულინი მოვიდა და დინამოელები თანდათან აუმჯობესებენ თამაშს. ცსკა-სთან მარცხის შემდეგ „დინამომ" ზედიზედ ორი მატჩი მოიგო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი გამარჯვება ლენინგრადის „სპარტაკთან" — 96:78 (50:37).

გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა მინსკის რტი-მ. ამჯერად მან ტაშკენტის „უნივერსიტეტი" დაამარცხა — 83:69 (38:34).

სამი ტურის შემდეგ თბილისის ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	3	3	0	294-229	3
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	3	2	1	267-241	2
რტი (მინსკი)	3	2	1	238-219	2
„დინამო" (მოსკოვი)	3	2	1	257-272	2
„დინამო" (თბილისი)	3	0	3	237-262	0
„უნივერსიტეტი" (ტაშკენტი)	3	0	3	223-293	0

კუიბიშევის ჯგუფშიც თანდათან გამოიკვეთა სატურნირო მდგომარეობა, თორემ პირველ ხანებში ლიდერის — კაუნასის „ჟალგირისის" პოზიციები ერთგვარად შეირყა, განსაკუთრებით ვილნიუსის „სტატიბასთან" მატჩის შემდეგ. ამ შეხვედრის პირველი ნახევარი „ჟალგირისმა" წააგო კიდეც (38:40). მერე მდგომარეობა ოდნავ გამოკეთდა, მაგრამ ბრძოლის სიმძაფრე და დაძაბულობა მაინც არ მოაკლებია. ბოლოს მაინც კაუნასელებმა გაიმარჯვეს (77:76), მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონისათვის ერთქულიანი სხვაობით მოგებული მატჩი ვერაფერი ნუგეში გახლდათ.

კიევის არმიელებთან მომდევნო შეხვედრაში ლიტველებმა უფრო დამაჯერებელი ანგარიშით (19 ქულით) გაიმარჯვეს — 109:90. მაგრამ თამაშის პროცესში ბევრი უსიამოვნო წუთი კი ჰქონდათ.

ბოლო ორი დღის სხვა შეხვედრები კუიბიშევის ჯგუფში ასე დამთავრდა: „სტროიტელი" (კუიბიშევი) — ასკ (კიევი) 81:78, ვეფ (რიგა) — „სტროიტელი" (კიევი) 79:77, „სტროიტელი" (კუიბიშევი) — „სტროიტელი" (კიევი) 90:81, „სტატიბა" (ვილნიუსი) — ვეფ (რიგა) 80:76.

ამ ჯგუფში, ერთის მხრივ, ყურადღებას იპყრობს კიევის „სტროიტელის" სუსტი და ვეფ-ის არასტაბილური თამაში, მეორე მხრივ — საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტის — კუიბიშეველთა ბრწყინვალე სტარტი. როგორც ჩანს, ერთხანს დამკვიდრებული გამოთქმა — ძლიერი და სუსტი გუნდები აღარ არსებობსო — ისევ ძალაში უნდა შემოვიდეს.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი" (კაუნასი)	3	3	0	286-247	3
ვეფ (რიგა)	3	2	1	256-241	2
„სტროიტელი" (კუიბიშევი)	3	2	1	252-259	2
„სტატიბა" (ვილნიუსი)	3	1	2	248-245	1
„სტროიტელი" (კიევი)	3	1	2	250-256	1
ასკ (კიევი)	3	0	3	252-291	0

ეროვნული

თერთმეტი მონაწილე ცნობილია

მსოფლიო ჩემპიონატი

ევროპის ზონა

II ჯგუფი

სტოკჰოლმი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებს მხოლოდ ქულა სჭირდებოდათ, საბოლოოდ რომ გაენაღდებინათ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება და ეს ქულა გუნდმა განვლილ ოთხშაბათს შვეციის ნაკრებთან შეხვედრაში მოიპოვა. მატჩი სტოკჰოლმში გაიმართა და ფრედ დასრულდა — 2:2. დასავლეთგერმანელებმა შესვენებამდე 2 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში (ფიოლერი, ჰერგეტი), ხოლო შვედებმა მეორე ტაიმში ორივე გოლი გაქვითეს (კორნელიუსონი, მაგნუსონი).

სამაგიეროდ, ამავე ჯგუფში მკვეთრად გამწვავდა ბრძოლა მეორე ადგილისთვის, რომელიც აგრეთვე იძლევა ფინალის საგზურს. პრაღაში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და პორტუგალიის გუნდები, თამაში მოიგეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 1:0, ერთადერთი ბურთი ჰრუშკამ გაიტანა მე-12 წუთზე.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გფრ	6	5	1	0	20-6	11
შვეცია	6	3	1	2	11-6	7
პორტუგალია	6	3	0	3	8-8	6
ჩეხოსლოვაკია	6	2	1	3	7-9	5
მალტა	6	0	1	5	3-20	1

III ჯგუფი

ფინეთის ქალაქ ტამპერეში შედგა შესარჩევი მატჩი ფინეთისა და თურქეთის ფეხბურთელთა შორის, ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ფინელებმა, ბურთი გაიტანა რანტანენმა.

სატურნირო მდგომარეობა აქ ახლა ასეთია:

ინგლისი	6	3	3	0	16-2	9
ფინეთი	8	3	2	3	7-12	8
რუმინეთი	6	2	3	1	9-5	7
ჩრ. ირლანდია	6	3	1	2	7-5	7
თურქეთი	6	0	1	5	1-16	1

IV ჯგუფი

ლუქსემბურგი. ბულგარეთის ფეხბურთელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს საკვალიფიკაციო ჯგუფში, სადაც მათთან ერთად გამოდიან საფრანგეთის, იუგოსლავიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეტად ძლიერი გუნდები.

ბულგარელებმა ლუქსემბურგის ნაკრები დაამარცხეს — 3:1 და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური მოიპოვეს. ამ მატჩის პირველ ნახევარში მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს პეტროვმა, კოსტადინოვმა და დიმიტროვმა, მასპინძლებმა მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს (ლანგერსი).

ბულგარეთი	7	5	1	1	12-3	11
იუგოსლავია	6	3	2	1	6-4	8
საფრანგეთი	6	3	1	2	7-4	7
გდრ	6	3	0	3	12-7	6
ლუქსემბურგი	7	0	0	7	2-21	0

VI ჯგუფი

საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებამ დანიის ნაკრებთან დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ფეხბურთის სპეციალისტები, მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ თამაში მაღალ სპორტულ დონეზე, სანახაობრივად საინტერესოდ ჩატარდა, საბჭოთა ნაკრებმა შეხვედრის გარკვეულ მონაკვეთებში მეტად ძლიერი, აგრესიული, ტემპიანი ფეხბურთი აჩვენა. ორივე გუნდის მწვრთნელებმა ე. მალოფეევმა (სსრ კავშირი) და ზ. პიონტეკმა (დანია) მაღალი შეფასება მისცეს განვლილ მატჩს, დანიელებსაც და საბჭოთა ფეხბურთელებსაც კარგი პერსპექტივები გააჩნიათ ფინალის საგზურების მოსაპოვებლად.

მოგვყავს VI საკვალიფიკაციო ჯგუფის განვლილ შეხვედრათა შედეგები, გათამაშების ცხრილი და დარჩენილი მატჩების კალენდარი:

12.09.84 **ირლან. — სსრკ 1:0**
12.09.84 ნორვ. — შვეიც. 0:1
26.09.84 დანია — ნორვ. 1:0
10.10.84 **ნორვ. — სსრკ 1:1**
17.10.84 შვეიც. — დანია 1:0
17.10.84 ნორვ. — ირლან. 1:0
14.11.84 დანია — ირლან. 3:0
17.04.85 **შვეიც. — სსრკ 2:2**
1.05.85 ირლანდ. — ნორვ. 0:0
2.05.85 **სსრკ — შვეიც. 4:0**
2.06.85 ირლანდ. — შვეიც. 3:0
5.06.85 **დანია — სსრკ 4:2**
11.09.85 შვეიც. — ირლანდ. 0:0
25.09.85 **სსრკ — დანია 1:0**

MEXICO86

დანია	5	3	0	2	8-4	6
სსრ კავშირი	6	2	2	2	10-8	6
ირლანდია	6	2	2	2	4-4	6
შვეიცარია	6	2	2	2	4-9	6
ნორვეგია	5	1	2	2	2-3	4

9.10.85 დანია — შვეიცარია
16.10.85 ნორვეგია — დანია
16.10.85 **სსრ კავშირი — ირლან.**
13.10.85 **სსრ კავშირი — ნორვეგია**
13.11.85 შვეიცარია — ნორვეგია
13.11.85 ირლანდია — დანია

VII ჯგუფი

სევილია. ისლანდიის ნაკრებთან მატჩს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური უნდა გაენაღდებინა ესპანელ ფეხბურთელთათვის, მათს გამარჯვებაში, ისიც საკუთარ მინდორზე, ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ თამაში უკიდურესად დაძაბული გამოდგა. და ესპანელებმა მხოლოდ ძალების დიდი დაძაბვით შეძლეს გამარჯვების მოპოვება. პირველი ტაიმის შემდეგ დაწინაურდა ისლანდიის ნაკრები (იონსონი), მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს რინკონმა და გორდილიომ ესპანელთათვის მეტად საჭირო გამარჯვების მოპოვება — 2:1.

ესპანეთი	6	4	0	2	9-8	8
შოტლანდია	6	3	1	2	8-4	7
უელსი	6	3	1	2	7-6	7
ისლანდია	6	1	0	5	4-10	2

გათამაშება VII ჯგუფში დასრულდა, მეორე ადგილი დაიკავეს შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა (გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით), რომლებიც ფინალის საგზურისთვის უნდა შეხვდნენ ოკეანიის ჯგუფის გამარჯვებულს.

ამრიგად, ფეხბურთში XIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების 24 მონაწილიდან უკვე ცნობილია თერთმეტი: მექსიკა, იტალია, არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, კანადა, უნგრეთი, პოლონეთი, გფრ, ესპანეთი, ბულგარეთი.

იტალია — ნორვეგია 1:2

იტალიის ქალაქ ლეჩეში შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში იტალიისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს შორის.

ნორვეგიელებმა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა გუნდთან ერთად გამოდიან, მაღალი კლასი და საუკეთესო სანებისყოფო თვისებები გამოავლინეს. მართალია, პირველ წარმატებას მსოფლიო ჩემპიონებმა მიაღწიეს (ბურთი 26-ე წუთზე გაიტანა ალტობელიმ), მაგრამ ნორვეგიელებს არ შეუნელებიათ იერიშები; 36-ე წუთზე ოკლენდმა ანგარიში გაათანაბრა, ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე კი დავიდსენმა მეორედ აიღო იტალიელთა კარი.

ჟოაო ავალანჟი დარწმუნებულია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო ავალანჟი მექსიკიდან ბრაზილიაში დაბრუნდა და თავისი მშობლიური ქვეყნის ქალაქ ტერეზინაში პრესკონფერენცია გამართა.

ჟ. ავალანჟმა განაცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას არავითარი საფუძველი არა აქვს იფიქროს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების ადგილის შეცვლაზე. მიუხედავად მექსიკაში მომხდარი კატასტროფული მიწისძვრისა, ამ ქვეყნის ქალაქები ღირსეულ მასპინძლობას გაუწევენ მსოფლიო ჩემპიონატს. მან დაუმატა, რომ მსოფლიო პირველობის გადატანა დღის წესრიგში დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ შესაბამის განცხადებას გააკეთებს მექსიკის პრეზიდენტი მიგელ დე ლა მადრიდი (როგორც ეს მაშინ მოხდა, როცა კოლუმბიის პრეზიდენტმა უარი განაცხადა თავის ქვეყანაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე).

ფიფა-ს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მექსიკა ჯერჯერობით კვლავინდებურად რჩება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ჩატარების ადგილად.

I ლიგა

26 სექტემბერს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა „ა“ ჯგუფის გუნდებს შორის. იაროსლავლის „შინიკმა“ და დუშანბეს „პამირმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0.

II ლიგა

25 სექტემბერს გორში ერთმანეთს შეხვდნენ II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდები — ადგილობრივი „დილა“ და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ბაქოს „გიანჯლიკი“.

მატჩი დამთავრდა გორელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 3:2.

ამჯერად რუსთავში

როგორც ცნობილია, ჩვენთან სტუმრად იყო პოლონეთის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. პოლონელმა სტუმრებმა გუშინწინ რუსთავში მეორე ამხანაგური მატჩი გამართეს საბჭოთა კავშირის ვეტერანთა ნაკრებთან და კვლავ წააგეს, ამჯერად — ანგარიშით 0:3.

ორივე გუნდის შემადგენლობაში წარსულში სახელგანთქმული არაერთი ფეხბურთელი გამოდიოდა.

საინტერესოა, რომ პოლონეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე იან ტომაშევსკი ამჯერად ცენტრალური ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა და დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართვა თავი.

გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობებს. **სსრ კავშირი:** გონტარი (რაზინსკი), ძოძუაშვილი (იანეცი), ხუდიევი, ბუტურლაკინი, აბრამოვი, მირზოიანი (ვატალოვსკი), კოლოტოვი, მ. მაჩაიძე (ნიკონოვი), ლ. ნოდია (პაპაევი), მაქსიმენკოვი, საბო (ოლშანსკი); **პოლონეთი:** ჩაია, ვ. ვილიმი, ჩმიკევიჩი, ბაზანი, კაშტელანი, ტომაშევსკი, იაკუბჩაკი, შოლტისიკი, ი. ვილიმი (სუსკი), სუდაკი, შარინსკი.

გოლები გაიტანეს: მაქსიმენკოვმა, მ. მაჩაიძემ და ნიკონოვმა (11-მეტრიანი). მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს ი. საბო და ზ. შოლტისიკი.

КУБОК ФИФА / КОКА-КОЛА
ЧЕМПИОНАТ МИРА·ЮНИОРЫ
СССР 85

ჩვენი კონკურსის შედეგები

იუნიორ ფეხბურთელთა V მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ „ლელომ“ მკითხველთა კონკურსი გამოაცხადა და მისი პირობებიც გამოაქვეყნა.

კონკურსის მონაწილეებს უნდა დაესახელებინათ:

1. წინასწარ ჯგუფებში გამარჯვებული 2-2 გუნდი.
2. მეოთხედფინალებში გამარჯვებული გუნდები.
3. ნახევარფინალებში გამარჯვებული გუნდები.
4. 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონი 20 წლამდე ჭაბუკთა შორის.

მკითხველებს ორიენტაციისთვის შევახსენეთ წინასწარი ჯგუფების შემადგენლობანი და მეოთხედფინალური მატჩების ჩატარების წესი.

„ა“ ჯგუფი (ერევანი)
უნგრეთი, ბულგარეთი, კოლუმბია, ტუნისი.
„ბ“ ჯგუფი (თბილისი)
ბრაზილია, ესპანეთი, ირლანდია, საუდის არაბეთი.
„ც“ ჯგუფი (მინსკი)
სსრ კავშირი, კანადა, ავსტრალია, ნიგერია.
„დ“ ჯგუფი (ბაქო)
ინგლისი, მექსიკა, პარაგვაი, ჩინეთი.

კონკურსმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, სარედაქციო ფოსტას ყოველდღე მოჰქონდა ათობით, ასობით წერილი, ფეხბურთის მოყვარულები ანალიზს უკეთებდნენ მომავალ შეჯიბრებას, ცდილობდნენ საფუძვლიანად დაესაბუთებინათ თავიანთი მოსაზრებანი, ამა თუ იმ პროგნოზის მოტივები, ბევრ წერილში განხილული იყო სხვადასხვა ქვეყნის იუნიორთა გუნდების ადრინდელი წლების შედეგები, წლევანდელი სეზონის მაჩვენებლები და ა. შ.

კონკურსის მონაწილეთა დიდმა უმეტესობამ გადამწყვეტი, ფინალური მატჩის მონაწილეებად დაასახელეს სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდები, შემდეგ კი, ამ საბოლოო მატჩში უპირატესობა საბჭოთა ფეხბურთელებს მიაკუთვნა. კონკურსის 309 მონაწილემ ჩემპიონად აღიარა სსრ კავშირის ნაკრები, 175-მა — ბრაზილია, 16-მა — ინგლისი, 12-მა — უნგრეთი, ორმა — ჩინეთი, ზოგიერთებმა პირველი ადგილი მიაკუთვნეს ირლანდიის, მექსიკის, საუდის არაბეთის, ავსტრალიის, ტუნისისა და სხვა გუნდებს.

ჩემპიონობა, როგორც ვიცით, ბრაზილიელებმა მოიპოვეს. 175 პროგნოზისტის ეს წინასწარმეტყველება გამართლდა, მაგრამ პირველი ეტაპის შეჯიბრებებში ვერც ერთმა მათგანმა ვერ ამოიცნო ჯგუფებში გამარჯვებულთა ვინაობა და ამაში ისინი, უპირველეს ყოვლისა, „დაალალატეს“ უნგრეთისა და ინგლისის გუნდებმა. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ძნელი საფიქრებელიც იყო, რომ „ა“ ჯგუფიდან მეოთხედფინალში ვერ გავიდოდნენ უნგრელები, ხოლო „დ“ ჯგუფიდან — ინგლისელები. მაგრამ, ფაქტია, ეს ასე მოხდა და კონკურსის მონაწილეთა დიდი უმრავლესობაც ამ მიზეზით „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდა. რამდენადმე მაინც სრული, გამართლებული პროგნოზის გაკეთება, სამწუხაროდ, ვერც ერთმა კონკურსანტმა ვერ შეძლო.

და, მაინც, გვინდა გამოვყოთ ზოგიერთი წერილი, სადაც სხვებთან შედარებით ზუსტადაა ამოცნობილი ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მსვლელობა.

ზუგდიდელმა მშენებელმა ინჟინერმა **აკაკი ხორდიამ** ამოიცნო ჩემპიონის ვინაობა (ბრაზილია), ფინალისტებიც (ბრაზილია — ესპანეთი), ნახევარფინალების მონაწილენიც (ესპანეთი, ბრაზილია, სსრ კავშირი, ნიგერია), ზუსტად დაასახელა საკვალიფიკაციო ჯგუფების 7 გამარჯვებულიც (ბულგარეთი, კოლუმბია, ბრაზილია, ესპანეთი, სსრ კავშირი, ნიგერია, მექსიკა), მაგრამ „დ“ ჯგუფში მან მეორე ადგილი ინგლისელებს უწინასწარმეტყველა, აქ კი წარმატებას ჩინეთის ფეხბურთელებმა მიაღწიეს. ეს ერთადერთი შეცდომაა ა. ხორდიას პროგნოზებში.

ფინალისტთა ვინაობა და მსოფლიო ჩემპიონი ზუსტად დაასახელეს თელაველმა **ზურაბ ხამხარაძემ**, გუდაუთელმა **კუკნურევმა**, წითელწყაროელმა **ლაურა მაძღარაშვილმა**, ქუთაისელმა **ვაჟა ახალაძემ**, ბათუმელმა **ოთარ ახანიძემ**, სოხუმელმა **ოთარ მიქელაძემ** და სხვებმა.

კონკურსის თითქმის ყველა შეკითხვა შეუცდომლად ამოიცნო მოსკოვში მცხოვრებმა **სლავა ახობაძემ**, მაგრამ მანაც „დ“ ჯგუფიდან მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრები გაიყვანა.

სხვათა შორის, ჩემპიონატის დაწყების წინ გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციამაც მოაწყო თავისებური კონკურსი და პროგნოზისთვის მიმართა საბჭოთა ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტებს, აღიარებულ ვეტერანებსა და მწვრთნელებს: ვიქტორ პონედელნიკს, ალბერტ შესტერნიოვს, იგორ ნეტოსა და ალექსანდრე სევიდოვს. მათ უნდა დაესახელებინათ ფინალური მატჩის მონაწილენი, ოთხივე ვეტერანმა უყოყმანოდ, ერთხმად დაასახელა სსრ კავშირი — ბრაზილია. როგორც ხედავთ, შეცდნენ თვით ასეთი გამობრძმედილი სპეციალისტებიც კი.

„ლელოს“ რედაქცია მადლობას უხდის ყველა ფეხბურთის მოყვარულს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენს კონკურსში.

უმასპინძლებს ნიგერია

კაიროში გაიმართა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტის ი. ტესემას (ეთიოპია) პრესკონფერენცია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 1989 წლის VI მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლამდე იუნიორ ფეხბურთელთა შორის გაიმართება ნიგერიაში.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ მეტად საინტერესო შეჯიბრების მასპინძლობა რიგით აფრიკის კონტინენტს ეკუთვნის, კონფედერაციამ კი ჩემპიონატის ორგანიზატორობა ნიგერიას დაავალა.

ი. ტესემამ განაცხადა: „მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორობა ნიგერიას მივაკუთვნეთ იმის გამო, რომ ამ ქვეყნის ჭაბუკთა გუნდებმა წლეულს საუკეთესოდ იასპარეზეს ჩინეთსა და სსრ კავშირში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატებში. ღრმად ვარ დარწმუნებული, აფრიკელები ღირსეულად ჩაატარებენ ჭაბუკთა ჩემპიონატს.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონზე
28 და 29 სექტემბერი

რეგბი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი
„ლოკომოტივი“ (თბილისი)—
ახა (ალმა-ათა)
დასაწყისი 18 საათზე.

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაკრებთა სამმართველოს ფიზკულტურის სახლი № 2-ის დირექცია აცხადებს მიღებას გამაჯანსაღებელი და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში.

მიიღებიან ყველა ასაკის ქალები და მამაკაცები. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 37 (კიროვის სახელობის პარკი). ტელ. 99-62-24.

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 08315